

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის

ბრძანება №81
2017 წლის 26 იანვარი

ქ. თბილისი

თავშესაფრის მამიებლის ცნობის ფორმა, მისი გაცემისა და შეცვლის წესი

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გბრძანებ:

მუხლი 1

1. დამტკიცდეს „თავშესაფრის მამიებლის ცნობის გაცემისა და შეცვლის წესი“ დანართი №1.
2. დამტკიცდეს „თავშესაფრის მამიებლის ცნობის ფორმა“ დანართი №2.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თავშესაფრის მამიებლის ცნობის ფორმა, მისი გაცემისა და შეცვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 16 აგვისტოს №101 ბრძანება.

მუხლი 3

ბრძანება ძალაშია 2017 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი

სოზარ სუბარი

თავშესაფრის მაძიებლის ცნობის გაცემისა და შეცვლის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თავშესაფრის მაძიებლის ცნობის (შემდგომში – ცნობა) გაცემისა და შეცვლის წესი (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) საფუძველზე და განსაზღვრავს თავშესაფრის მაძიებლის ცნობის რეკვიზიტებს, ცნობის გაცემის, შეცვლისა და დუბლიკატის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.
2. ცნობა ადასტურებს უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საერთაშორისო დაცვაზე განცხადების შეტანას და საქართველოში მის კანონიერ ყოფნას.
3. ცნობას სათანადო ფორმის გარეშე, შესწორებით, წაშლილი სიტყვებითა და გადასწორებული თარიღებით ძალა არ გააჩნია.
4. ცნობის გაყალბება ან სხვა პირისათვის გადაცემა ისჯება კანონით.

მუხლი 2. ცნობის რეკვიზიტები და აღწერილობა

1. ცნობის რეკვიზიტებია:
 - ა) სახელი;
 - ბ) გვარი;
 - გ) დაბადების თარიღი;
 - დ) დაბადების ადგილი (წარმოშობის ქვეყანა);
 - ე) მოქალაქეობა;
 - ვ) ფოტოსურათი;
 - ზ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა;
 - თ) ცნობის გაცემის თარიღი;
 - ი) ცნობის მოქმედების ვადა;
 - კ) სამინისტროს ბეჭედი;
 - ლ) ცნობის ნომერი.
2. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციისთანავე გაიცემა ცნობა და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება ერთი წლით. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
3. ცნობა არის ერთგვერდიანი, სამინისტროს ბლანკზე დამზადებული დოკუმენტი.
4. იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფრის მაძიებელს ჰყავს არასრულწლოვანი შვილი (შვილები), მასზე გაცემულ ცნობაში მიეთითება არასრულწლოვანი შვილის (შვილების) მონაცემები ქართულ და ინგლისურ ენებზე: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი.

მუხლი 3. ცნობის შევსება, შეცვლა და დუბლიკატის გაცემა

1. ცნობის შევსებას, შეცვლას და დუბლიკატის გაცემას უზრუნველყოფს მიგრაციის, რეპატრაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი).
2. ცნობის შევსება ხორციელდება თავშესაფრის მაძიებლის ანკეტაში არსებული მონაცემების საფუძველზე.

3. ცნობის შეცვლა ხდება ჩანაწერში უზუსტობის აღმოჩენის ან ცვლილების შეტანის შემთხვევაში.
4. ცნობის დუბლიკატის გაცემა ხდება, ცნობის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში. დაზიანებული ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს დეპარტამენტში.
5. ცნობის დაკარგვის ან ჩანაწერში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, მისი მფლობელი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს დეპარტამენტს.
6. ცნობის შეცვლის ან დუბლიკატის გაცემის მოთხოვნით, ცნობის მფლობელი თავშესაფრის მაძიებელი წერილობით მიმართავს დეპარტამენტს.
7. ცნობის შეცვლის ან დუბლიკატის გაცემის დღიდან, დაკარგული ან სხვა მიზეზით შეცვლილი ცნობა ძალადაკარგულად ითვლება.
8. შეცვლილი ცნობა და დუბლიკატი გაიცემა პირველადი ცნობის მოქმედების ვადით.

სურათი

გაცემის თარიღი:
Date of issue:
//___

მოქმედების ვადა:
Date of Expiration
//___

თავშესაფრის მაძიებლის ცნობა

სახელი, გვარი	
Name of Applicant	
დაბ. თარიღი/ Date of birth	
დაბ. ადგილი	
Place of birth	
მოქალაქეობა	
Nationality	

წინამდებარე ცნობით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნულმა პირმა საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. საერთაშორისო დაცვაზე განცხადება ამჟამად განხილვის პროცესშია და თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში თავშესაფრის მაძიებელი არ უნდა იყოს რაიმე ფორმით დაბრუნებული ან გაძევებული წარმოშობის ქვეყანაში ან იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მისი სიცოცხლე ან თავისუფლება დადგება საფრთხის ქვეშ მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მოსაზრებების გამო.

ამ ცნობაში მოცემულ ინფორმაციასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

მიგრაციის, რეპატრაციისა და
ლტოლვილთა საკითხების
დეპარტამენტის უფროსი

ცნობა ძალაშია სამინისტროს ოფიციალური ბეჭდით